„ვამტკიცებ“

შპს „სსსც ეკვატორის“ დირექტორის მ.შ.

_____ა.მგელაძე

დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის
2020 წლის 29 ივნისის N09 ბრძანებით

შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის/ვერიფიკაციის მექანიზმი

ნდ №2-03-03ქ

ბათუმი
2020

სარჩევი

მუხლი 1. შესავალი დებულებები. 3
მუხლი 2. ვერიფიკაციის პროცედურა, მიმართულებები და პრინციპები 3
მუხლი 3. შეფასების ინსტრუმენტები 4
მუხლი 4. რისკების სისტემა 5
მუხლი 5. ვერიფიკაციის პროცესის დოკუმენტირება..... 6
დანართი 1..... 6

მუხლი 1. შესავალი დებულებები.

1. აღნიშნული წესი შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრის „ეკვატორი“ წესდების, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტების საფუძველზე.
2. წინამდებარე წესი განსაზღვრავს შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრის „ეკვატორი“ (შემდგომში - „კოლეჯი“) ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევების შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმს.

მუხლი 2. ვერიფიკაციის პროცედურა, მიმართულებები და პრინციპები

1. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

2. ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი ანუ შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი.

3. ვერიფიკაციის მექანიზმით რეგულირდება შემდეგი საკითხები: ვინაა პასუხისმგებელი? ვინ ახორციელებს? შერჩევის პრინციპები (მ.შ. რისკების სისტემა), ვერიფიკაციის პროცესის აღწერა, ვერიფიკაციის პროცესის დოკუმენტირება (დასკვნა,დასკვის განხილვა, სამოქმედო გეგმა და ა.შ) (დანართი 1).

4. **ვერიფიკაციის პროცედურა მოიცავს:**
   - სინამდვილის დადგენას, ჭეშმარიტების შესწავლას
   - შეფასების, შემოწმების პროცედურას
   - სტანდარტის შედარებას ფაქტებთან, რეალურ ვითარებასთან;

5. **ვერიფიკაციის მიმართულებებია:**
   1. შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია
   2. შეფასების პროცესის ვერიფიკაცია
   3. შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

6. **შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:** ვალიდურობას; სანდოობას; გამჭვირვალობას; სამართლიანობას; ობიექტურობას.

7. შეფასების სისტემა **ვალიდურია** თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი **რელევანტურია** იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით. შემოწმება ეხება შეფასების ინსტრუმენტს. ხდება შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა დარგის ექსპერტის მიერ.

8. შეფასების სისტემა **სანდოა,** თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით. შემოწმება ეხება შეფასების მტკიცებულებას. ხდება შეფასების მტკიცებულების შესწავლა დარგის ექსპერტის მიერ.

9. შეფასების სისტემა **გამჭვირვალეა,** თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისათვის. შემოწმება ეხება შეფასების პროცესს. ხდება შეფასების რეგულაციის შესწავლა, შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში), შეფასებული პირის ინტერვიურება, შეფასების პროცესზე დასწრება (შესაძლებლობის შემთხვევაში).
10. შეფასების სისტემა **სამართლიანია,** თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს შესაფასებელ პირს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები). ასევე შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში იქნა ჩაყენ ებული. შემოწმება ეხება შეფასების პროცესს. ხდება შეფასების რეგულაციის შესწავლა, შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში), შეფასებული პირის ინტერვიურება, შეფასების პროცესზე დასწრება (შესაძლებლობის შემთხვევაში).
11. შეფასების სისტემა **ობიექტურია,** თუ ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირი შესრულების (შედეგების) პირობებში ერთნაირად არის შეფასებული. შემოწმება ეხება შეფასების პროცესს. ხდება შეფასების მტკიცებულებათა და უწყისების შესწავლა; სამართლიანი და ობიექტური. იდენფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი.
12. ვერიფიკაციის პროცესში მონაწილეობენ პროგრამის ხელმძღვანელი, დარგობრივი/პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირები, შესაძლებელია დარგის მოწვეული სხვა სპეციალისტები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები და სხვ.
13. ვერიფიკაციის პროცესის მონაწილეები/ვერიფიკატორები განისაზღვრება დირექტორის სამართლებრივი აქტით - ბრძანებით.
14. კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების სისტემის ვალიდურობის, სანდოობის, სამართლიანობის, სიმარტივის, გამჭვირვალობისა და მოქნილობის უზრუნველსაყოფად ვერიფიკაციის პროცესს კოორდინაციას უწევენ კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი და სასწავლო პროცესის მენეჯერი.

მუხლი 3. შეფასების ინსტრუმენტები

1. შეფასების ინსტრუმენტისა და სწავლის შედეგების უწყისების ფორმები მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.
2. შეფასების ინსტრუმენტის შექმნის ვალდებულება აქვს მოდულის განმახორციელებელ პირს (პირებს).
3. მოდულის განმახორციელებლი პირის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტი გადის ვერიფიკაციას, სადაც დგინდება/მოწმდება მისი შესაბამისობა მოდულით განსაზღვრულ შედეგების კრიტერიუმებთან, მტკიცებულებებსა და შეფასების მიმართულებებთან.
4. პროფესიული სტუდენტის შეფასებამდე ვერიფიკატორებს შორის მიმდინარეობს კომუნიკაცია ზეპირი და/ან ელექტრონული ფორმით.

5. შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია მოდულის შედეგებთან და კრიტერიუმებთან უნდა დასტურდებოდეს პროგრამის ხელმძღვანელის ან/და დარგის სპეციალისტის ხელისმოწერით და შეთანხმებული უნდა იყოს სასწავლო პროცესის მენეჯერთან.
6. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შეფასების ინსტრუმენტის დადასტურების საფუძველი შესაძლოა იყოს ერთი და იგივე მოდულის განმახორციელებელი პირების მიერ ვერიფიცირებული (შემოწმებული, გაზიარებული) შეფასების ინსტრუმენტი.
7. პროგრამის ხელმძღვანელის/დარგის სპეციალისტის მიერ ხელმოწერილ/ვერიფიცირებულ შეფასების ინსტრუმენტს შერჩევითობის პრინციპით პერიოდულად (რისკების გათვალისწინებით, მაგ.: ახალი დასანერგი პროგრამა, ახალი პროფესიული განათლების მასწავლებელი და ა.შ.) ამოწმებს ხარისხის მართვის მენეჯერი, რაც დასტურდება შეფასების ინსტრუმენტზე ხელმოწერით, საჭიროების შემთხვევაში დებს რეკომენდაციებს/შენიშვნებს.
8. დაუშვებელია რომ პირმა, რომელმაც ინსტრუმენტის შემუშავებაში მიიღო მონაწილეობა შეამოწმოს იგივე ინსტრუმენტი.
9. პროგრამის მოდულებით მისაღწევი შედეგების შეფასების მიზნებისათვის ნებადართულია მხოლოდ ვერიფიცირებული შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება.
10. ვერიფიკაციის ვერგავლის შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტი მოდულის განმახორციელებელ პირს შესასწორებლად უბრუნდება შესაბამისი რეკომენდაციებით.
11. სავალდებულოა შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

მუხლი 4. რისკების სისტემა

1. რისკების სისტემა გულისხმობს რისკების რეესტრის შექმნას, რაც დაწესებულებას ეხმარება პროცესების მართვა/შეფასებაში.
2. რისკების რეესტრში აისახება:
   - გარემოებები (მაგ. დამწყები მასწავლებლის ფაქტორი)
   - შესაძლო რისკები (დაწესებულების მოსაზრება, რა შეიძლება იყოს შასაძლო რისკი)
   - კოეფიციენტები (გარემოებები შესაძლოა დაიყოს შედარებით დაბალ, საშუალო, მაღალ და კრიტიკულ კოეფიციენტებათ და მათ მიენიჭოთ შესაბამისი ქულები. მაგალისთვისთვის:
     დაბალი 1 ქულა,საშუალო 2 ქულა, მაღალი 3 ქულა, კრიტიკული 4 ქულა).
3. რისკების რეესტრში ასახული გარემოებები ყველა არის რისკ-ფაქტორი, უბრალოდ მათ შორისაც არსებობს განსხვავებები. არის რაღაც გარემოება, მაღალი რისკის მქონე ან საშუალო რისკის მქონე და ა.შ.
4. რისკ-ფაქტორები შესაძლოა იყოს:
   - დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი;
   - სანდო პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევითი პრინციპით შემოწმება(მუდმივად ფორმაში ყოფნის მიზნით);

- პრაქტიკული დავალებების სიმრავლე;
- ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა;
  საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილება;
  სხვა.

5. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

მუხლი 5. ვერიფიკაციის პროცესის დოკუმენტირება.

1. ვერიფიკაციის პროცესის ყოველი ეტაპი დოკუმენტირებულია, მის ყველა ეტაპზე კეთდება ჩანაწერები/ოქმები.
2. შემოწმების შემდგომი ეტაპი არის დასკვნის განხილვა.
3. დასკვნის განხილვისა და ანალიზის პროცესში ჩართული მახრეები შეიმუშავებენ პრობლემების აღმოფხვრის გზებს.
4. დასკვნა უნდა იყოს ნათელი და სრულყოფილი. დასკვნაში ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული სტუდენტების შეფასება.
5. დასკვნის და დასკვნის განხილვის საფუძველზე შემუშავდება სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმაში სრულყოფილად უნდა აისახოს ყველა ის განსახორციელებელი აქტივობა, რის განხორციელებასაც აპირებს დასკვნაში ასახული პრობლემატური საკითხების გადასაჭრელად. სამოქმედო გეგმაში ასევე ასახული უნდა იყოს: განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი. ეს შესაძლოა გახდეს წლიური გეგმის ნაწილი, თუ ფართო მასშტაბის საკითხს ეხება. თუ ინდივიდუალურ მასწავლებელს/მოდულს ეხება, რა თქმა უნდა, შესაძლოა ცალკე გაიწეროს.

დანართი 1

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესი

ეტაპზე პასუხისმგებელი
მონაწილე
ინფორმირება

პროცესის ეტაპი/ პასუხისმგებელი/ მონაწილე	ხარისხის მართვის მენეჯერი	ვერიფიკატორი (ვანათლება)	ვერიფიკატორი (დარგი)	ინსტრუმენტის შემდგენელი	შემფასებელი	პროფესიული სტუდენტი	სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი/, პროგრამის ხელმძღვანელი
ვერიფიკაციის გეგმის შედგენა							
ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტის შერჩევა							
ვერიფიკატორების შერჩევა							

ვერიფიკატორების ინსტრუქტაჟი							
შესამოწმებელ მტკიცებულებათა იდენტიფიცირება							
შესამოწმებელი ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების გამოთხოვა							
ინსტრუმენტის შეფასების მიმართულებასთან შესაბამისობის დადგენა							
ინსტრუმენტის შინაარსობრივი შეფასება ვალიდურობის თვალსაზრისით							
მტკიცებულებათა ფიზიკურად არსებობის შემოწმება							
მტკიცებულებათა მიხედვით შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემოწმება							
მტკიცებულებათა საკმარისობის შეფასება							
მტკიცებულებათა ვალიდურობის შეფასება							
შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმის შემოწმება							
წინასწარი ინფორმირების ფაქტის გადამოწმება მექანიზმის შესაბამისად							
შეფასების დროის საკმარისობის შეფასება							
შეფასების გარემოს შესაბამისობის შეფასება							
შეფასებისას გამოსაყენებელი აღჭურვილობის ადეკვატურობის შეფასება							
შეფასებისას გამოსაყენებელი მასალების და ნედლეულის ადეკვატურობის შეფასება							
შეფასების პროცესის ფაქტობრივი გარემოებების შემოწმება							
მტკიცებულებათა შეფასება ობიექტურობის თვალსაზრისით							
ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის შედგენა							
ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის განხილვის ორგანიზება, შეთანხმება ფაქტობრივ გარემობებზე							
შეთანხმება რეკომენდაციებზე							

(საჭიროების შემთხვევაში)							
ვერიფიკაციის საბოლოო დასკვნის შედგენა							
რეკომენდაციების შესრულების გეგმის შედგენა (საჭიროების შემთხვევაში)							
ანგარიშგება რეკომენდაციების შესრულების შესახებ (საჭიროების შემთხვევაში)							
რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი (საჭიროების შემთხვევაში)							